ვერა წერეთელი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ქუთაისი, საქართველო
Vera.tserteli@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.70

ინტელექტუალური პერსონაჟები აპოლონიოს როდოსელის შემოქმედებაში

საკვანძო სიტყვები: ინტელექტუალური პერსონაჟები, აპოლონიოს როდოსელი

აპოლონიოს როდოსელის ,,არგონავტიკა'' არგონავტების მითზე აგებული ყველაზე უფრო სრულყოფილი პოეტური ნაწარმოებია. პოემაში გვხვდება ინტელექტუალური პერსონაჟები, რომელთა განსწავლულობა აოცებს მკითხველს.

მედეა, მშვენიერი კოლხი ქალი, ჭკვიანი და გამჭრიახი, შეუპოვარი და ძლიერი ნებისყოფის მანდილოსანია. ,,მედეა'' ბერძნულად ,,ბრძენ ქალს'' ნიშნავს. საბერძნეთში ამ კოლხი ქალის ნამდვილი კულტი იყო, მის სახელზე ტაძრებს აგებდნენ, ლექსებს უძღვნიდნენ მას. საინტერესოა, როგორ მაიღწია ამ სიბრძნეს მედეამ, რა ტიპის სწავლა–განათლება მიიღო, რამ განაპირობა მისი ასეთი დახვეწა–განვითარება? (გორდეზიანი 2011).

,,არგონავტიკაში'' ასახულია ქართულ მედიცინასთან დაკავშირებული მთელი რიგი მომენტები. კოლხეთი ისეთ ქვეყნადაა დასურათებული, სადაც სამედიცინო საქმიანობა და ცოდნა ემყარებოდა ახალ აღმოჩენებს, ცდებს, მცენარეთა სამკურნალო თვისებათა გამოვლენას, შხამებსა და სამკურნალო საშუალებებზე დაკვირვებას. მედეა წარმოდგენილია, როგორც სამკურნალო ხელოვნებაში უაღრესად განსწავლული ქალბატონი. მედეას სახელს უკავშირდება ისეთი ცნებები, როგორიცაა ,,გაახალგაზრდავება'' და ,,სისხლის გადასხმა''. მედეას ხელოვნება ზებუნებრივია. მას შეუძლია სასწაულმოქმედი წამლების დამზადება. მათ შორის აღსანიშნავია ,,პრომეთეს წამალი''. ვინც ამ წამლით განიბანება, მას ისარი ვერაფერს დააკლებს. დღესდღეობით, მედეას სახელთან დაკავშირებული სამედიცინო საქმიანობა მსოფლიო მედიცინის ისტორიაში ცნობილია ,,Cura Mediana''-ს სახელწოდებით, რაც ასევე იმაზე მიუთითებს, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ეს იდეები ჩაისახა, სამედიცინო პრაქტიკული საქმიანობა არ შეიძლება მაღალ დონეზე არ მდგარიყო (Holmberg 2014:36).

მედეა ემორჩილება გრძნობებს, თუმცა მედეას ახასიათებს განსჯის უნარი.

კოლხი ქალი წინდახედულობას მაინც იჩენს და იასონს სთხოვს ფიცით დაუმტკიცოს, რომ არასოდეს მიატოვებს და უერთგულებს მას სიცოცხლის ბოლომდე: ,,ქალს უპატრონოს, უთვისტომოსა, და სირცხვილ-ნამუსს დაიცავ ჩემსას'' (აპ. როდ. არგ. IV. 88-91).

მხოლოდ მას შემდეგ, რაც იასონმა ფიცი მისცა მას, რომ ელადაში როცა ჩაიყვანდა, კანონიერ მეუღლედ შეირთავდა, მედეამ ბრძანა სასწრაფოდ გემის გაყვანა წმინდა ჭალაში,

ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. ავტორი გვეუბნება, რომ მედეამ წინასწარ აწონ-დაწონა ყველაფერი და ამის შემდგომ მიიღო გადაწყვეტილება. ,,მედეამ აწონ-დაწონა ეს შეთანხმება ბრძნული გონებით'' (აპ. როდ. არგ. IV.350).

იასონს ირიბად ახასიათებს ავტორი, როგორც ახალგაზრდა კაცს. საერთო ხაზგასმა ახალგაზრდულ ასაკზე ეპიკურ პოემას განსაკუთრებულობას სძენს. იასონის ხასიათი მაშინვე ვლინდება, როცა ის პირველად ჩნდება და ის ცდილობს დააცხროს მისი მწუხარება და დამამშვიდებელ სიტყვებს ამბობს. მისი ტაქტიკა და დიპლომატია არის შემგუებლური ადამიანის დამახასიათებელი თვისებები: მისი მიზანიც მიიღწევა გარკვეული მანიპულაციებით. მთელი პოემის განმავლობაში ხაზი ესმის იასონის საუბრის მანერას: ,,მასზე ჭკვიანური სიტყვებით გაიმარჯვა'' (აპ. როდ. არგ. III. 946).

თუმცა ღმერთებმა გადაწყვიტეს იასონს დახმარებოდნენ და მედეას მისი სიყვარული ჩაუნერგეს, მაინც თვალში საცემია იასონის აქტიურობა. მან გამოიყენა გარკვეული ხერხები მედეას გულის მოსაგებად, სადაც მისი განათლებულობა გამოვლინდა. იასონი მას არგუნენტირებულად უხსნის, თუ რატომ უნდა დაეხმაროს იასონს: 1. მისი წყალობით გამარჯვებული რომ დაბრუნდება ელადაში, მთელს ელადას მოეფინება მისი დიდება. 2. მედეას წყალობით, შესაძლებელია, მამაც გმირთა დედების ურვას და დარდს ბოლო მოეღოს, რასაც ისინი უცილებლად დაუფასებენ მას; 3. თვით ჰელიოსის ასულის ნაშობმა არიადნემაც ხომ დაიხსნა სასტიკ ბრძოლაში გმირი თეზევსი და შემდგომ, გაჰყვა მას. ამის შემდეგ იასონი ავლენს ქალის ფსიქოლოგიის კარგ ცონდნას, ის აქებს ქალის მშვენიერებას: ,,შენს გარეგნობას თუ ვერწმუნებით, გექნება თბილი, კეთილი გული''(აპ. როდ. არგ. III. 1006). მედეა განსაკუთრებით მოხიბლა ამ შექებამ: ,,შვებით აუვსო შექებამ გული, ასწია თავი, გმირს გაუცინა'' (აპ. როდ. არგ. III. 1010). მან აიღო ჯადო-წამალი და გაუწოდა იასონს, ასევე მზად იყო გულიც ამოეგლიჯა და მიეცა იაზონის შვილისათვის, თუკი ის ამას მოისურვებდა. მედეა მოიხიბლა როგორც იასონის ფიზიკური მონაცემებით, ისე მისი მჭევრმეტყველებით: ,,ჯერ იაზონის სილამაზითა და მერე სიტყვით მოთაფლულითა'' (აპ. როდ. არგ. III. 1141).

იასონის ხასიათი მაშინვე ვლინდება, როცა ის პირველად ჩნდება და ცდილობს დააცხროს მედეას მწუხარება და დამამშვიდებელ სიტყვებს ამბობს. მისი ტაქტიკა და დიპლომატია არის შემგუებლური ადამიანის დამახასიათებელი თვისებები: მისი მიზანიც მიიღწევა გარკვეული მანიპულაციებით. მთელი პოემის განმავლობაში ხაზი ესმის იასონის საუბრის მანერას : ,,მასზე ჭკვიანური სიტყვებით გაიმარჯვა'' . იასონს აშკარად ეტყობა ლოგიკის კარგად ცოდნა. ის ცდილობს, ლოგიკური მსჯელობის გზით, დაუმტკიცოს თანაგუნდელებს საკუთარი აზრის სისწორე. ის ცდილობს, მსჯელობით მოაგვაროს საქმე (Mori 2006).

იასონს აშკარად ეტყობა ლოგიკის კარგი ცოდნა. ის ცდილობს, ლოგიკური მსჯელობის გზით, დაუმტკიცოს თანაგუნდელებს საკუთარი აზრის სისწორე. ის ცდილობს, მსჯელობით მოაგვაროს საქმე: ,,ხშირად რბილი და კეთილი სიტყვით მოგვარებულა საქმე ისეთი, რაც ქედმაღლური ქიშპით და ბრძოლით ძალზე ძნელად თუ მორიგდებოდა'' (აპ. როდ. არგ. II. 188 – 190). მას სჯერა სიტყვის ძალის და ცდილობს მეფის გული ,,კეთილი სიტყვით'' მოინადიროს (აპ. როდ. არგ. II. 180). არგონავტებიც ამავე აზრის არიან, მათაც სწამთ, რომ მოლაპარაკებით შესაძლებელია ნებისმიერი საქმის მოგვარება და ,,ერთიც არავინ გამოჩენილა წინ აღდგომოდა გონივრულ განსჯას'' (აპ. როდ. არგ. III. 195). არგოსი მიმართავს თანაგუნდელებს: ,,ხშირად მოცდა და თავშეკავება, სჯობს განუსჯელად

თავის დაღუპვას'' (აპ. როდ. არგ. III. 527).

იასონი ამ პრინციპით მოქმედებს მედეასთან მიმართებაშიც. ის ცდილობდა ,,ქალის გული მაამებელი სიტყვით მოეგო'' (აპ. როდ. არგ. III. 1111).

არგონავტები იჩენენ გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევებს. ეს ვლინდება გემის გაწყობიდან დაწყებული, მათი მოგზაურობის ყველა ეტაპზე. არგონავტები გუნდური მუშაობის პრინციპებით მოქმედებენ. არის შემთხვევები, როცა ისინი ერთხმად იღებენ გადაწყვეტილებებს. თუმცა, თუკი არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, ისინი კენჭისყრას მიმართავენ (Mori 2023: 14).

არის შემთხვევები, როდესაც მთელ გუნდს ერთ-ერთი გმირი გამოეყოფა და გონიერებისაკენ მოუხმობს მათ. მაგალითად, ლემნოსზე არგონავტებს კუნძულზე მობინადრე ქალთა ალერსმა დაავიწყათ თავიანთი მისია. ამ დროს ჰერაკლემ მოუხმო მათ გონიერი საქციელისაკენ (აპ. როდ. არგ. I. 864-870). ვერცერთმა გმირმა ვერ გაბედა, გმირთაგმირისათვის თვალი გაესწორებინა ან შეპასუხებოდა. ,,დაშლისთანავე დაუყონებლივ გასამგზავრებლად იწყეს მზადება'' (აპ. როდ. არგ. I. 877).

არგონავტებს, ასევე, კარგად გამოსდით საქმის დანაწილება, რაც გუნდურ მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის: ჰერაკლემ მეგობრებს უბრძანა, მსხვერპლშეწირვის რიტუალი ჩაეტარებინათ, თავად კი ტყეში გაემგზავრებოდა ხოფის გამოსათლელად არგონავტების რჩევის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა იასონი მისულიყო გონივრულ გადაწყვეტილებამდე. ისინი ყოველთვის ამარაგებენ მას გონივრული იდეებით.

სხვადასხვა ცოდნითა და უნარით არიან გამორჩეული ,,არგოს'' წევრები. ორფევსი ამშვიდებს გმირებს ჯადოსნური სიმღერით. ტიფისს შეეძლო გამოეცნო მოსალოდნელი ამინდი. მელანპუსი ფრინველთა ენის მცოდნე იყო, იდმონი კი უცნაური უნარითაა გამორჩეული: მას ფრინველთა ფრენით შეუძლია განჭვრიტოს ბედი. მძლე პოლიდევკე სწორუპოვარი ცხენოსნობაში. ლინკევსს კი შეეძლო ,,თვით მიწის გულიც რომ განეჭვრიტა ყოვლის მხილველი ფხიზელი მზერით''. კითარაზე უკრავს ეაგრეს სახელოვანი შვილი, რომელიც გმირებს ართობს (Karanika 2010: 56-79).

აპოლონიოს როდოსელის ,,არგონავტიკა'' მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული ნაწარმოებია. იგი ასევე უძვირფასეს გეოგრაფიულ და ისტორიულ წყაროს წარმოადგენს. ამასთან, გვაწვდის ინფორმაციას პერსონაჟთა ინტელექტუალურ შესაძლებლობაზე, რაც გვაძლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ანტიკური პერიოდის ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობები თანამედროვე ეპოქაშიც კი გააოცებს ადამიანს.

ლიტერატურა:

1. გორდეზიანი 2011. *ბერძნული ლიტერატურა. ელინური ეპოქის ეპოსი, ლირიკა, დრამა.* თბილისი: გამომცემლობა ,,ლოგოსი''.

2. Holmberg Ingrid E. (2014): Gender in Apollonius Rhodius' Argonautica. John Hopkins University Press;

3. Karanika A. (2010): Inside Orpheus' Songs: Orpheus as an Argonaut in Apollonius Rhodius' Argonautica. Greek, Roman, and Byzantine Studies 50 (2010) 391–410;

4. Mori A. (2023): Mediation vs. force: thoughts on female agency in Apollonius Rhodius' Argonautica. Malden and Oxford

5. Mori A. (2006):Acts of Persuasion in Hellenistic Epic: Honey-Sweet Words in Apollonius, in I. Worthington (ed.), *A Companion to Greek Rhetoric*, Malden and Oxford, p. 458-72.

Vera Tsereteli
Akaki Tsereteli State university,
Kutaisi, Georgia
Vera.tserteli@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.70

Intellectual Characters in the Works of Apollonius of Rhodes

Abstract

'Argonautica' by Apollonius of Rhodes is the most perfect poetic work based on the myth of argonauts. We see intellectual characters whose intellectual abilities amaze the readers. Medea, a beautiful Kolchi woman is clever and bright, persistent and patient. The word 'Medea' means 'a wise woman' in Greek. Greek people respected her very much, they built temples for her, devoted verses to her. It is very interesting how Medea managed to gain this wisdom, what kind of education had he attained and what fostered her refined personality.

'Argonautica' represents a number of moments connected with Georgian medicine and Kolchi is described as the country where medicine in in its peak and medical activities are based on new research and discovery, experiments, detecting treating effects of the plants, observing poisons and remedies. Medea is represented as a woman who is highly aware of medical arts. Notions such as 'rejuvenation' and 'donating blood' is connected to her name. Medea's art is supernatural. He can make miraculous medicines. On of the most popular of her medicines is called 'the medicine of Prometheus'. Nowadays the name Medea is associated with medical activity called 'Cura Mediana', which also implies that the country, where these ideas were born, undoubtedly medical activities were advanced and flourished. Argonauts show teamwork skills. This is revealed from arranging the ship to the end, on all stages of their journey. Argonauts act according the principles of teamwork. There are cases when they make decisions unanimously, but if there is diversity in their opinions, they apply to the poll.

Argonauts also manage to share their job which make the teamwork more effective; Heracles ordered his friends conduct the ritual of sacrifice and he would go to the forest to do some job. Without argonauts Jason couldn't come to the wise decision They always provide him with witty ideas. Jason's character is suddenly discovered, when he first appeared and tries to soothe Medea's grief and says comforting words. His tactics and diplomacy are features of an easy-going person: his purpose is reached by certain manipulations. Throughout the poem Jason's speaking style is emphasized. 'He defeated her by wise words.' He is well acquainted with logics. He tries, using logical speech, persuade the team-mates and prove them that his opinion is right. He tries to solve the problems by discussion. 'Argo' members are characterized by different skills. Orpheus calms down the heroes by his majestic songs. Tiphis could extrapolate the weather forecast. Melanpus could speak the language of the birds. Idmon is distinguished by a strange ability: he can foretell the fortune by the way the birds fly. Vigorous Polidevces is incompatible in horse-riding. Linceus can extrapolate the future by his sight. Aegres' famous son entertains the heroes with the sweet songs accompanied by the cithara.

Key words: Intellectual Characters, Apollonius of Rhodes